საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 90 (6467) 27 ივლისი შაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჯნა—20 ტონა აბრეშუმის პარკი

ქვეყანასაც, საკუთარ თავსაც

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ მეაბრეშუმეთა სეზონის დაწყებიდან ლასურიაში შეიქმნა მეაბრეშუმე მამაკაცთა რგოლი, რომელშიც გაერთიანდნენ ავთანდილ მუშკუდიანი (რგოლის ხელმძღვანელი), ნოდარ ახვლედიანი, ბექან ბრეგვაძე დათო კანაჩაძე და ვახტანგ ბენდელიანი. მათ გამოსაკვებად 200 გრამი მური გაიპიროვნეს.

მოვუსმინოთ უბნის მეაბრეშუმე აგრონომს ზურაბ ხეცურიანს: სიმართლე რომ გითხრათ, თავიდან არ მჯეროდა მათი შემართებისა. ვფიქრობდი, მამაკაცებს მალე მოსწყინდებოდათ ამდენი ჭიის მოვლა და ჩვენც და ისინიც უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით. მოხდა კი პირიქით. მრავლდებოდა ჩელტები, ძლიერდებოდა ინტერესი და საქმისადმი პასუხისმგებლობა. საქმე ისეააწყვეს, რომ არცერთი ჭია არ უზარალებიათ, სულ ნორმალური ტემპერატურა იყო მათ ბინაში მაშინ, როცა რაიონის ბევრ მეაბრეშუმე ქალს მოეცარა ხელი, სანახევროდაც ვერ შეასრულა გეგმა, იმ საშინელი სიცხეების პერიოდში საქსოვად გამზადებული ჭიები ცახებიდან ჩამოიყარა.

მამაკაც მეაბრეშუმეთა მონდომებამ ნაყოფი გამოიღო, დასრულდა ერთი თვის ცხარე, მოუსვენარი დღეები და მათ ანგარიშზე სამშობლომ 490,4 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიიწონა. აღსანიშნავია ისიც, რომ აქედან 409.1 კილოგრამი ხარისხიანი პარკი გამოდგა.

სულ რგოლის წევრთა შემოსავალმა 13509 მანეთი შეადგინა. თითოეულს შრომის გასამრჯელოდ 2702 მანეთი ერგო.

ასეთ დროს იტყვიან-ქვეყანასაც, საკუთარ თავსაცო.

გილოცავთ თქვენს პირველ საქმეში გამარჯვებას, სულ სასახელო საქმეები გვეკეთებინოთ დამოუკიდებელი საქართველოს საკეთილდღეოდ.

პრეფექტურაში

ყველას უნდა მოეთხოვოს

ცაგერის რაიონის პრეფექტურაში გაიმართა ქალაქის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა ქალაქში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის და წარმოება-დაწესებულებებში შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის გაუმჯობესების საკითხებს.

ინფორმაციით გამოვიდა რაიონის პრეფექტურის შრომისა და სოციალური საკითხების განყოფილების გამგე გ. ბრეგვაძე.

საკითხების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ცაგერის საქალაქო საკრებულოს გამგებელმა გ. ყურაშვილმა, სანეპიდსადგურის მთავარმა ექიმმა ჯ. ყვირილიანმა, ცაგერის საშენი მასალების სამეურნეობათშორისო საწარმოს უფროსმა რ. ახვლედიანმა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა თ. ბენდელიანმა, ავტოპროფილაქტიკის უფროსმა მ. ყურაშვილმა, კინოფიკაციის დირექტორმა ბ. ხეცურიანმა, რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ ზ. ბენიძემ, ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა ჯ. მიქაძემ, რაიონის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილების გამგემ კ. კვირკაშვილმა, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსმა ვ. კუპავამ.

თათბირზე აღინიშნა, რომ მიუხედავად რამდენჯერმე გაფრთხილებისა კვლავ სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევებია ქალაქში სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის საქმეში. შეიძლება ითქვას, ქალაქში კვლავ უსუფთაობაა. მეტი წილი წარმოება-დაწესებულებების ეზოები და მიმდებარე ქუჩები დაბინძურებულია, ნაგვითაა ავსებული, ხოლო შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელი დამშვიდებული შეჰყურებს ამ მდგომარეობას. დასახელდა, რომ კენჭნარის არხი მთელი ასათიანის ქუჩის გაყოლებით მოსახლეობის მიერ სანაგვედაა გადაქცეული, იქვე ასათიანის ქუჩაზე არსებული სავაჭრო პავილიონების ტერიტორია დაუსუფთავებელია. პარტიზანთა ქუჩაზე არსებული ორმოცბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორია ძანაგვიანებულია, თვით შენობის სარდაფი გამოყენებულია ქათმებისა და ღორების დასამწყვდევად. ანალოგიური მდგომარეობაა ძველი ადმინისტრაციული შენობის, დიეტური სასადილოს და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შენობის ეზოებში, ავტოსადგურის ტერიტორიაზე და სხვა.

გაესვა ხაზი იმას, რომ ქალაქში თითქმის ყველა წყლის ავზი, რომელიც ძირითადად სახანძრო თვალსაზრისითაა აშენებული უმოქმედოდაა, არცერთში წყალი არ არის, ამოვსებულია ნაგავით. დაცვის გარეშეა ქალაქის წყალსადენის ცენტრალური ავზი, ყოველივე ამის გამო მნიშვნელოვნად გამწვავდა ეკოლოგიური მდგომარეობა ქალაქში, რის შედეგადაც მომრავლდა ბუზები და მღრღნელები, იქმნება სხვადასხვა ინფექციური დაავადებების საშიშროება.

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წარმოება-დაწესებულებებში შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის დაცვის საქმეში გამოვლენილ სერიოზულ ნაკლოვანებებს. მარტო უკანასკნელი ორი დღის შემოწმების შედეგად რიგი წარმოება-დაწესებულებების როგორც ხელმძღვანელი, ისე სხვა მუშაკები არ აღმოჩნდნენ ადგილებზე, უნებართვოდ აცდენდნენ სამუშაო საათებს, ასევე ხშირია დაგვიანების შემთხვევები, ხოლო გამცდენთა და დამგვიანებელთა მიმართ არ ტარდება ღონისძიებანი.

თათბირის მონაწილეებმა მოიწონეს რაიონის პრეფექტურის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი ქალაქში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის და შრომის ორგანიზაციის და დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

თათბირზე გადაწყდა, რომ ყოველი კვირის პარასკევი გამოცხადდეს ქალაქის დასუფთავების დღედ.

თათბირის მუშაობა შეაჯამა რაიონის პრეფექტის პირველმა მოადგილემ გიორგი ჯიაძემ.

საკვები 91: პირუტყვი რომ არ დაიმშეს

ზაფხულია. პირუტყვისთვის საკვების დამზადების გადამწყვეტი დრო. საბედნიეროდ საკვების მარაგის შექმნის საუკეთესო რეზერვებიც გვაქვს და საშუალებებიც, ამოცანაც დიდი და სერიოზულია—სულ საზოგადოებრივ მეურნეობასა და საკარმიდამოში იჯარით გაცემული 3060 მსხვილფეხა პირუტყვისათვის (აქედან 387 ძროხაა) სულ ცოტა 1200 ტონა თივა და სხვა უხეში საკვების დამზადება მაინცაა საჭირო.

ახლა, როგორც არასდროს, ისე უნდა იყვნენ ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის დარაზმული რაიონის მშრომელები, მით უფრო დღეს, როცა ასეთი რთული და შემაშფოთებელი მდგომარეობა შეიქმნა ამ დარგში.

საკვები პროდუქტები მაღაზიის თაროებიდან საერთოდ გაქრა, ბაზარზე კი მას, რომ იტყვიან, ცეცხლი უკიდია, ამ ურთულესი მდგომარეობიდან გამოსავალი კი ერთია, რომ რაც შეიძლება უხვად მოვიმარაგოთ საკვები, აქედანვე შევქმნათ გამოზამთრების საიმედო გარანტი, მაქსიმალურად მოვიხმაროთ სათიბებში შემოსული ბალახი.

ამ მხრივ ამჟამად შექმნილი მდგომარეობა პირდაპირ საგანგაშოა გარდა ცაგერის კოლმეურნეობის აეროპორტის სათიბებისა, არსად, არც ერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში საკვების დამზადება არ მიმდინარეობს. მოსახლეობა თვითნებურად დაეპატრონა სათიბებს, არის დავა, გაუთავებელი კამათი, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს აქტიურობის ძალა აღარ შესწევთ, ამასობაში დრო მიდის, ყველაფერი ამ მნიშვნელოვანი საქმის საზიანოდ ხდება და ხვალ თუ ზეგ მძიმე ტვირთად დააწვება მეცხოველეობაში შექმნილ ისედაც საგანგაშო და უმძიმეს მდგომარეობას.

არადა საკვების დამზადების ყველაზე ხელსაყრელი დრო ხელიდან გვეცლება, მდგომარეობა დღითიდღე რთულდება. საკვები ბაზის გარეშე მეცხოველეობა სამარცხვინო ჩამორჩენას თავს ვერ დააღწევს, საქმეს ისევ აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალისტებმა და საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელთა აქტივობამ უნდა უშველოს.

ადამიანები

განთიადიდან შებინდებამდე

სახეზე ნაოჭები ხანგრძლივი ცხოვრების დასტურია, სიმართლის უტყუარი მოწმე. თვალები? არა, არ გატეხილა, ვერ დაუბინდავს წლებს, ვერ წაურთმევია იდუმალი სიამაყე და სიმტკიცე.

გაგაცნობთ, იგი თებროლე თუთისანი-ლიპარტელიანია, სოფელ ბარდნალაში მცხოვრები, 84 წელს მიტანებული მეაბრეშუმე, საქვეყნო საქმის მოტრფიალე და მზრუნველი. ბევრი ცუდი უნახავს, მაგრამ ცუდსა და უსიამოვნოს მუშაობაში მისთვის ხელი არ შეუშლია. ამაზე უარესი რა უნდა მომხდარიყო მის ცხოვრებაში მეუღლე, ორი მცირეწლოვანი შვილის მამა, თედორე ლიპარტელიანი მეორე მსოფლიო ომის ქარიშხლიან გზას გაუყენეს და შინ აღარ დაბრუნებულა. ოჯახმა ერთბაშად შეიგრძნო ომის საშინელება. რა უნდა ექნა ახალგაზრდა დედას, ისიც ბევრ თანატოლთან ერთად შეეგუა ოჯახში უკაცობას და ქალისა და მამაკაცის მძიმე ჰაპანს ეწევა დღემდე. ქალიშვილები გაზარდა. ერთი ქმარშვილიანია და წყალტუბოში ცხოვრობს. ოთხი შვილიშვილიც ჰყავს, მაგრამ დღესაც თავისი სუსტი, ოდნავ მოხრილი მხრებით შედგომია მეუღლის დანატოვარ ოჯახს, არ გატეხილა მისი ნებისყოფა, შრომობს და შრომობს, თვალიც უჭრის და მუხლიც, შრომის ფასიც უკეთ ვინ იცის. განთიადიდან შებინდებამდე სად არ ნახავთ, მარტო ის კმარა, 0,5 ჰექტარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთს რომ უვლის, ოჯახში ორი ფურიც ჰყავს, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც აბრეშუმის ჭიის მოვლა იტაცებს. ექვსათეულ წელზე მეტია ამ საქმეს მისდევს. როცა მეაბრეშუმე აგრონომმა დ. გოგიძემ მითხრა, 84 წლის სახელოვანი მეაბრეშუმე მყავსო, არც კი დავიჯერე. წიფერჩის საკრებულოს მდივანს ნორა ლარცულიანს ოჯახში მიტანილი ჭია რომ ჩამოართვა, დასძინა,—ამის მოვლას რომ ვერ შევძლებ, მაშინ მკვდარი ვიქნებიო და შეუდგა საქმეს. ამ დღეებში ცაგერის მიმღებ პუნქტში თებროლე ლიპარტელიანის სახელის გასწვრივ 25 კილოგრამი „თეთრი ოქრო“ ჩაიწერა. თებროლეს ასაკსა და ჭაღარას იმიტომ სცემენ პატივს, რომ ისინი ცხოვრებისეული სიბრძნისა და გამოცდილების სინონიმს წარმოადგენენ. მისი ნაშრომიც ისევე სჭირდება დღეს მამულს, როგორც ამ თაობის გუთნისდედების.

84 წელი სიცოცხლისათვის ზღვარი როდია, საზრუნავი ისევ ბევრი აქვს, ცხოვრება კვლავ იძახის, უშრომლად სიცოცხლე რის მაქნისია, შრომა ზეიმობს და სიცოცხლეც მარადისობს. იცოცხლეთ!

ამ ჩვეულებრივ ფრაზაში ყველაფერია ჩაქსოვილი—მადლიერებაც, პატივისცემაც, სიყვარულიც.

ბ. ბაქრაძე.

ყველა ჩემი სამშობლოა...

„მოსჩანს ციისფერ ღრუბლებში კახეთი...“

გრძნობა სამშობლოსი, ნამდვილი გრძნობა, აწვალებს დღეს ეროვნული სულის ჭირისუფალს, აწვალებს და ვეღარავითარი ძალა ვერ გააყალბებს მას, შინაგანად მწველს და საქმით მეტყველს.

დღეს არნახული აღტყინებით ველაციცებით სამშობლოს წარსულს, მის სისხლიან, სამაყო ისტორიას, ყოფა-ტრადიციებს, თითქოს ახლა შევიგრძენით ეს ყოველივე, რაც გვიღვიძებს ეროვნულ სულსა და თვითშეგნებას, სამშობლოს დამოუკიდებლობის გრძნობას.

ამ გრძნობით დავადექით გზას გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები, გრძელ და საინტერესო გზას საქართველოს აღმოსავლეთისაკენ, ძველი ჰერეთის სამეფომდე, აზერბაიჯანის, დაღესტანის საზღვრებამდე.

წყალტუბოს საექსკურსიო ბიუროდან გასულები მივუყვებით იმერეთის სანახებს. თითოეულ გოჯს, ადგილს, მდინარეს საინტერესო ბიოგრაფია აქვს. უკან დარჩა ქუთაისი თავის სიძველით, ბაგრატითა და გელათით. მდინარე წყალწითელაზე ექსკურსიამძღოლი გრიგოლ ჯურხაძე ასეთ ისტორიას ჰყვება: მურვან ყრუს შემოსევის დროს გადაიბუგაო 7000 სოფელი, აქ აწამეს ძმები დავითი და კონსტანტინე მხეიძეები. ისინი მოწამეთას ეკლესიაში დაუკრძალავთ. მათ სისხლს შეუღებავს პაწია მდინარე და წყალწითელაც აქედან დაერქვაო.

ფიქრებში ვიძირებით. რამდენი რამ არ ვიცით ღვიძლის და მშობლიურის ირგვლივ. ზესტაფონს შორაპანი ებმის, მეფე ფარნაოზის ქალაქი, აქვეა ყვირილა, ოდესღაც დიდი სანაოსნო მდინარე. ვეწაცავთ საქართველოს სამხედრო ავტოტრასას, რომელიც 1908 წელს გახსნილა და პირველ ავტომანქანასაც მაშინ გაუვლია.

მალე უკან მოვიტოვეთ რიკოთის უღელტეხილი, სურამი, ხაშური, შუაგულ ქართლში ვართ. კასპში წმინდა ნინოს ეკლესია გვეგებება. ქეთევანი, თამარი და ნინო—სამი ძვირფასი სახელი საქართველოსთვის, თითოეული ქართველისთვის. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აკურთხა წმინდა ნინოს ეკლესია და დღეს მის კედლებში აღავლენენ წირვა-ლოცვებს.

ბევრი რამ გადახდენია ქართლს. ქსნის ხეობა, ქსნის ციხე, ჯვრის, ზედაზნის მონასტრები, თითოეულზე დიდხანს შეიძლება ისაუბრო.

* * *

ვუახლოვდებით მცხეთას—საქართველოს უწმინდეს ადგილს, ძველ დედაქალაქს. სვეტიცხოველის — არქიტექტურული ძეგლი და მისი სიდიადე იზიდავს უამრავ სტუმარსა და მასპინძელს. საინტერესო დროს მივედით—ფარანის ტბიდან წმინდა ნინოს სულის სადიდებლად წამოსული მორწმუნენი უკვე შემოსულიყვნენ სვეტიცხოველში ნატანჯი, დაღლილები, მაგრამ საოცრად ბედნიერი სახეებით და სულით ამაღლებულნი.

სვეტიცხოვლის წმინდა სავანეში განისვენებენ საქართველოს დიდებული მეფეები. დავანთეთ სანთლები და ერთხელ კიდევ ვეცით თაყვანი წმინდა ტაძრის ჯვარს.

* * *

საბურამო... წიწამურთან მიახლოება გვტკივა. აქ, ამ ადგილას ერთი პატარა ტყვიით განგმირეს დიდი ქართველი, საქართველოსთვის გულდაღლილი მოხუცი ილია ჭავჭავაძე.

საგურამო გურამიშვილების საძველე, აქ მხოლოდ ეს გვარი ცხოვრობდა და მათი ადგილ-მამული დიღომამდე აღწევდა. დღეს, როგორც გვითხრეს, გურამიშვილი საერთოდ აღარავინ არის სოფელში.

...გურამიშვილის მშვენიერ და ჭკვიან 20 წლის ასულზე ოლღაზე რომ დაქორწინდა 25 წლის ილია 1863 წელს, საგურამოში მოვიდა. სახლი, რომელშიც დღეს ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმია, აქ არ მდგარა. ეს თეთრი ღრუბლების ქვეშ გადაშლილი საუცხო ადგილი ილიას ამოურჩევია სამოსახლოდ, 1892 წელს დაუწყია მშენებლობა და 1895 წელს დაუმთავრებია. აქ შეუქმნია ილიას არაერთი შედევრი, ამ სახლში უფიქრია საქართველოს ბედზე, აქ მასპინძლობდა ძვირფას სტუმრებს.

კარგა ხანს დავყაოთ ილიას ეზო-კარში 300 წლოვანი კაკლის ჩრდილქვეშ, მოჩხრიალე წყაროსთან, დავდიოდით მის ნატერფალზე და უდიდეს სიამოვნებასა და სიამაყეს განვიცდიდით.

საღამოს ჩავაღწიეთ თბილისს, აბრ დღვრიალებულს, აფუსფუსეულს, ივლისის ხვატით სულგათანგულს. ღამემ მაინც თავისი ჰქნა, სიგრილემ იმატა და დილაადრიან დავადექით გზას კახეთისაკენ.

* * *

„ვაი, მაგ მკერდს სამამულეს, ვინ ოხერი გიკორტნიდა“, „აი, კახეთი, ჩემი კახეთი , რომ არ ცხრებოდა მტრების თარეში“ და სხვა ათასი ტკივილიანი სტრიქონები ამოტივტივდა გონებაში.

სართიჭალას რომ გასცდები, თბილისის საგარაკო ადგილები შემოგხვდება. რამდენი ხრიოკი, მოუსალიანი ადგილი გაუკულტურებიათ, გაუმწვანებიათ, პაწია სახლები ჩადენ ქარავანს გადაუვლია ამ გზებზე, აუოხრებია ეს მიწა, აუჭრია ვაზი. მამა თავად კლავდა საკუთარ შვილს, მუსულმანების მოსალოდნელი აოხრების წინ, მაგრამ ვერ მოკლეს საქართველო, ვერ გადაარჯულეს ქართველი, ვერ დაიმორჩილეს სული მისი.

...კახთა მეფეს ალექსანდრე მეორეს ოთხი შვილი ჰყოლია. ერთი მათგანი მძევლად გაუგზავნია ირანის კარზე. ეს მუსულმანურად გაზრდილი უმადური შვილი კახეთში რომ შემოსულა, მამა და ძმა მოუკლავს, რათა მეფედ დამჯდარიყო. აი, რა მოგვდგამდა ძველთაგან, აი რა აძლიერებდა ჩვენს ურჯულოსა და მოძულეს.

* * *

შუამთის მონასტერი, უფრო სწორად, მონასტრების კომპლექსი—ძველისა და ახალი შუამთის. ძველი მე-5—მე-6 საუკუნისა, ახალი მე-16 საუკუნის. აქ დღედა სამონასტრო ცხოვრება. ეს წმინდა ციხე-ქალაქი იფარებდა შვილებს მტრის შემოსევისას. შუამთა მართლაც მთებს შორისაა, ტყეში ჩაფლული, თავზე ჩაჩქანად ღრუბლები ადგას. ტყე ხალხითაა სავსე. აქ მოდიან შესაწირით, სანთლებით, იმედით, რწმენით. ახალი მონასტრის მშენებლობა კახეთის მეფე ლევანის მეუღლეს თინათინ გურიელს დაუწყია. შუამთაში მოძღვარი მამა იოანე დაგვიხვდა. შუამთის მონასტერში პატივი მივაგეთ დიდებული ქართველის ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავს.

* * *

წინანდალი—ჩვენ მე-19 საუკუნის მჩქეფარე მოვლენებში გადავინაცვლეთ. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ვართ. ამ დიდებული ოჯახის ისტორია ყველამ ვიცით, ვიცით, მისი ულამაზესი და პატრიოტი ქალების შესახებ. ვათვალიერებთ დიდებულ სახლ-კარს, სადაც დაიბადნენ გარსევან, ალექსანდრე ჭავჭავაძეები, ეკატერინე და ნინო, სადაც იმართებოდა შეხვედრები, ლიტერატურული საღამოები, აქ ხღაპრული, რომანტიკული სილამაზეა. მთელი დღე ვერ დაივლი ტყე-პარკს, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებს, ჭურმარანს.

წინანდალი ნამდვილი ზღაპარია, შეუდარებელი.

ალავერდის ტაძარს მე-6 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. დიდი მშენებლობა კი მე-11 საუკუნეში წარმართულა. ერეკლე მეორეს კი გაუდიდებია, საბოლოო სახე მიუცია.

ახლა ალავერდის ტაძარი ხარაჩოებშია. როგორც საერთოდ მთელს ქართულ ეკლესიებს, მალიტერატურული საღამოები, აქ ხღაპრული, რომანტიკული სილამაზეა. მთელი დღე ვერ დაივლი ტყე-პარკს, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებს, ჭურმარანს.

წინანდალი ნამდვილი ზღაპარია, შეუდარებელი.

ალავერდის ტაძარს მე-6 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. დიდი მშენებლობა კი მე-11 საუკუნეში წარმართულა. ერეკლე მეორეს კი გაუდიდებია, საბოლოო სახე მიუცია.

ახლა ალავერდის ტაძარი ხარაჩოებშია. როგორც საერთოდ მთელს ქართულ ეკლესიებს, მასაც ეტყობა მე-19 საუკუნის რუსული იმპერიული პოლიტიკის კვალი. ტაძრის კედლები გაუთეთრებიათ და ძვირფასი მხატვრობის აღდგენა ახლაა დაწყებული. პარალელურად არქეოლოგიური გათხრებიც მიმდინარეობს. ალავერდის ეზოში სხვა ნაგებობებთან ერთად თვალს ხვდება კიბეაივნიანი შენობა, ამ აივანზე ავიდოდა ერეკლე მეორე, შემოკრავდა ზარს და შეჰყრიდა კახთ. აქედან ისმოდა პატარა კახის ომახიანი ხმა, მოწოდება სამშვიდობო თუ საბრძოლველი.

ალავერდობა დიდი დღესასწაულია კახეთს. 3 კვირა გრძელდება 27 სექტემბრიდან მოყოლებული და მთელს საქართველოს უხმობს, მთელი საქართველო იდრეკს მუხლს ამ წმინდა ალაგს.

ალავერდის გრილ მაღალგუმბათიან დარბაზში წირვა მიდიოდა. ამ დროს ორი წყვილი ქალ-ვაჟი ჯვრის წერისათვის მაყრორნით მოადგა მონასტერს. დალოცოს, გაამრავლოს ალავერდის ძალამ!

...დავდივართ წინაპართა გულებზე, დიდებულ ადგილებში, ველაციცებით მათ ძვირფას ლანდებს, მაგრამ გული გვტკივა დღევანდელი გულგრილობით, განუკითხაობით. საექსკურსიო ბიუროები დაკეტილი დაგვიხვდა მცხეთაში, თელავში. საგურამოში, გრემში, ალავერდში წინანდალში ვერ ვნახეთ ექსკურსიამძღოლები.

* * *

მხოლოდ გრემის მონასტერში დაგვიხვდა შესანიშნავი მასპინძელი ექსკურსიამძღოლი გულიკო გულიაშვილი.

თქვენ გრემის მადლიან დათბილ მიწაზე ხართ, გვეუბნება იგი. ვახუშტის ცნობით, მე-15 საუკუნის შუახანებში საქართველოს რთული პოლიტიკური დრო დაუდგა, იგი სამთავროებად იშლებოდა, გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელმა მეფემ გიორგიმ კახეთში პოვა შვება. გრემი კახეთის სატახტო ქალაქად იქცა. იგი გეოგრაფიულად ხელსაყრელ ადგილზე 1565 წელს ალაშარ კახთა მეფემ ლევან აღმაშენებელმ. ქალაქში ჩამოფიფონენ უცხოელები, იმართებოდა [illegible] — [illegible] ეკლესიაში. ქალაქის შემოსაზღვრულში იყო აბანო, აღმოსავლური სტილით ნაგები—ვინც გრემში შემოვიდოდა, როგორც წესი, უნდა განბანილიყო. კომპლექსში ცალკე ყოფილა მეფე-დიდებულთა უბანი.

150 წელი არსებობდა გრემი, როგორც სატახტო ქალაქი. ბოლოს შაჰის შემოსევის დროს იგი დაინგრა, მაგრამ ეკლესია-მონასტრები გადარჩა. არის თქმულება, რომ შაჰა-აბასის ბებია სამცხე-საათაბაგოდან იყო, შალიკაშვილის ქალი. იგი შეევედრებია შვილიშვილს, რაკი არ იშლი, ეკლესიებს მაინც არ ახლოო ხელი.

აქვეა მეფის დარბაზი, მაშინდელი სამეფონეო იარაღებით, საორმოცე ოთახი, სამრეკლო, რომლიდანაც მოჩანს მთელი კახეთი.

გრემიდან ყვარლისაკენ ვაგრძელებთ გზას. ისევ ილიას უნდა ვეწვიოთ, ამჯერად ყვარელში, ჭავჭავაძეების საუფლოში.

ილიას კარ-მიდამოში მკვიდრად ნაგები აგურის სახლია. 6 შვილი ჰყოლია ილიას მამას გრიგოლს, ჭავჭავაძეების გენეალოგია საუკუნეებიდან მოდის. მისი წინაპრები დაწინაურებულან 1516 წელს. ააპებს უმოღვაწნიათ ერეკლე მეორის კარზე.

ვნახეთ აკვანი, რომელშიც ჩვილ ილიას არწევდნენ აქ, დიდი ნაგეზის ჩეროში. მაგრამ ეს მშვიდობიან დროს. ილია და მისი და-ძმანი ეზოში მდებარე მაღალ კოშკში დაბადებულან. ცუდი დრო იყო. ყვარლის მთებს მიიმალეკები ცხოვრობდნენ. მათ თუალი დეენიადაგ კახეთისკენ ჰქონდათ, თუ ჩვილს იპარავდნენ, თუ ქალს, თუ ცხვარ-ძროხას. აწიოკებდნენ სოფლებს.

კოშკში შეეხიზნიდა წერილ ცოლ-შვილს გრიგოლ ჭავჭავაძე საშიშ ვითარებაში, ასეთი კოშკები ბლომადაა შემორჩენილი კახეთში.

გავეცანით ილიას ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მოღვაწეობას, მოვინახულეთ ყვარლის ეკლესია—ჭავჭავაძეების საგვარეულო სავანე.

* * *

დავიღალეთ კახეთის სიყვარულში, სამი დღე რა არის, ეს ისტორიული მხარე, თითქმის საქართველოს ნახევარი მოიარო, ან ერთ საგზეთო სტატიაში ჩადო განცდილი და ნანახი. შორიდან მოვეფერეთ დავით-გარეჯას, უჯარმის ციხეს, ჯარდენახს, თელავის ღირსშესანიშნაობებს, გოგლას, ნატო ვაჩნაძის, კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმებს, კახელ კაცის ნაღდ ბუნებას...

ჩვენ ერთხელ კიდევ დავინახეთ საქართველო თავის წარსულით, „მწვანე ტევრებში აგებული ციხე-კოშკებით, რომელთა ჯვრები ლოცულობენ საქართველოსთვის, და ისწრაფვიან სულ მაღლა, მაღლა, მზის სილურჯეში“.

ვიწონეს, მსარს ვუჭერ

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ კანონის პროექტის გამოქვეყნებას საკმაო ხანია ელოდება თავისუფლების გზაზე მტკიცედ დამდგარი საქართველოს მოსახლეობა; და აი ისიც! უკვე გამოქვეყნებულია კანონის პროექტი სახალხო განხილვისათვის.

მსურს გამოვთქვა ჩემი პირადი ნოსაზრებაც. ასე მაგალითად: კანონის პროექტის მეორე კარის მერვე მუხლის—„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ მიღების პირობები“ „გ“ პუნქტში წერია.. „ეცოდინება საქართველოს რესპუბლიკის კონ-ტიტუციის საფუძვლები დ აღიარებს მას, ეცოდინება საქართველოს ისტორია“. ვფიქრობ, ეს უკანასკნელი სასურველია შეიცვალოს ასეთი რედაქციით..„ეცოდინება საქართველოს ისტორიის უმთავრესი, საკვანძო საკითხები“, რადგან ხომ ცნობილია, რომ საქართველოს ისტორია 70 წლის ძახძილზე გაუკუღმართებულად ისწავლებოდა და დღეს თვით ბევრი ძირძველი ქართველიც ვერ დაიკვეხნის მის დიდებულ ცოდნას.

კანონპროექტის მე-13 მუხლის „უცნობ მშობელთა ბავშვების მოქალაქეობა“ შესახებ კი ჩემი აზრი ასეთია: ეს მუხლი ჰუმანური პრინციპებით არის ნაკარნახევი, მაგრამ ხომ არ იქცევა იგი იმ არხად, რომელიც არაქართველ, ქართულ მიწებზე თვალდადგმულ „ძმებს“ საშუალებას მისცემს თავის საქართველოში მცხოვრებ ახლობელ, სანდო ოჯახებს „მიუგდონ“ თავიანთი ჩვილი შვილები და ამით პერსპექტივაში გაუნაღდონ მათ საქართველოს მოქალაქეობა?

ეჭვი არ არის, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონის სამოქმედოდ შემოღება ხელს შეუწყობს საქართველოს სახელმწიფოებრიობის შემდგომ განმტკიცებას, ქართველი ერის აყვავებას.

მელსი ყურაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევა ევა

ჩვენი გაზეთის ახალი, კიდევ ერთი თემატური გვერდია. როგორც მიხვდით, ქალთათვისაა განკუთვნილი. იგი მთლიანად დაეთმობა მათ—აქ დაბეჭდილი წერილები გიამბობთ სახელოვან ლეჩხუმელ ქალებზე—წინაპრებსა და თანამედროვეებზე, მათ ფიქრებსა და განცდებზე, ჩვეულებრივ ქალებზე, ოჯახს რომ დედაბოძად უდგანან. გიამბობთ აგრეთვე მსოფლიოში ცნობილ ქალებზე. „ევა" შემოგთავაზებთ სასარგებლო რჩევა-დარიგებებს, მოგაწვდით საუკეთესო რეცეპტებს როგორც მსოფლიო, ისე ლეჩხუმური კულინარიის საგანძურიდან. ძვირფასო ქალებო! იმედია, მალე დაუმეგობრდებით „ევას".

სიცოცხლე იებში, ანუ მარადიული მშვენიერება

ახლა თეთრ ფურცელზე სტრიქონები უნდა დაეწყოს, ჩემი გრძნობის ტოლფასი სათქმელი უნდა ითქვას. ყოველთვის მიჭირს დაწყება, სიტყვებს მაინც არასოდეს არ ვეძებ და ვწერ მხოლოდ გულით ნაკარნახევს.

ახლა ზაფხულის წვიმიანი და სევდიანი დღეა და მეც ამ დღის განწყობილებით გწერთ:

„შენ უნდა ცისფერ ღრუბლებ[ი]ან იყვე"...

უზომოდ მიხარია, რომ შემიძლია წამოგეწიო კიბეზე, შეგხვდე დერეფანში და ვუსმინო შენს საუბარს ლიტერატურაზე, და ყველაფერზე: ცხოვრებაზე, ადამიანებზე, სილამაზეზე, სიკეთესა და ბოროტებაზე.

გახსოვს, იმ დღეს რწმენაზე ვსაუბრობდით, არა, რწმენის დაკარგვა როგორ შეიძლება, ეს ხომ ბოროტების ხეშია და ბოროტებას როგორ უნდა გაამარჯვებინონ.

„იგი შემოდის კლასში, ჩვენ კი მოუთმენლად ველით მას. მისი გაკვეთილები სულიერად გვამაღლებენ.

ლია მასწავლებელი ლიტერატურისა და ადამიანობის მასწავლებელია. ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი ! ახლობელი".—ამბობენ მოსწავლეები.

ის ცდილობს ბავშვის სულში აღაროს ის ძვირფასი ყლორტები, რასაც პატიოსნება, სიკეთე, თავმდაბლობა, ერთგულება, შრომისადმი სიყვარული და სათნოება ჰქვია.

ლია ძოწენიძე, ლეჩხუმელთა რძალი, ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგია, ფრიადოსანი შვილების დედა, კარგი მეუღლე, ერთგული მეგობარი, მშვენიერი ქართველი ქალი, მიქაძეების ოჯახის უმცროსი დიასახლისი.

დიდი ხანია გიცნობ.

იასავით სუსტი ხარ, მზესავით ღიმილიანი, ოდნავი შეხებისას სივრცეში ბგერებად იღვრები.

...მინდორში, პატარა ცისფერი ყვავილი იცქირებოდა, ამ ერთ ციდა ყვავილში იმდენი ძლიერება იხატებოდა, გაკვირვებული შესცქეროდნენ. ცისფერი ყვავილი კი დედამიწის ულმეს ჭრილობაზე მალამოდ ამოსული იღიმებოდა და ვინ იცის, რატომ.

შენც დაულოცნიხარ ბერიკაცს სიკეთისათვის.

შენც გაგხარებია ანთებული ყაყაჩოს სიხარული.

ცაში ასაფრენად შენც გაგიშლია ფრთები.

შენც გიძებნია საკუთარი თავი მზესა და ყინვაში, ქარსა და წვიმაში.

შენც გინახავს, თუ როგორ შესანსლა სასოწარკვეთამ ლამაზი სიცოცხლე (სხვის მაგივრად ატირებულხარ).

ანთებ მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ იწვი.

ძნელია იყო ქალი...

„ომები ხომ თავსაყრელია, მშვიდობის ჟამს ნანადირევს მიხედე, დაჭრილებს იარა შეუხვიე, სალბუნია შენი ხელები, შვილები ზარდე, ურიცხვი ნათესავების სიკვდილის გამო ორმოცი დღე ბნელში იჯექი...

ქალი, რომელსაც სიყვარული შეუძლია, გულგრილობას ვერ შეეგუება, ქვეყანაზე გამეფებულ გულგრილობას.

ვიცი, ახლა ნათა გეღღურტულება, ნათა, თავისი დაუმთავრებელი კითხვებით სამყაროს შეცნობა რომ სწადია, მასაც ცისფერი თვალები აქვს. ძალიან ჭკვიანი ბავშვია. ჯერ პატარაა, მაგრამ უკვე იკვლევს საკუთარ თავს. რეზო ზის არხეინად და მღერის მისთვის — „სამშობლოო"...

მართალი უთქვამთ: სიყვარული არ ყვირის, ჩურჩულებს მხოლოდ და ისიც მაშინ, როცა დუმილი აღარ შეუძლია.

თინიკო შკუბულიანი,
ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

მსოფლიო ეკრანის * ვარსკვლავები *

სოფი ლორენის 60 კინო-ფილმი

სოფი ლორენი, რომლის ნამდვილი გვარ-სახელია სოფია შიკოლონე, დაიბადა 1934 წელს.

პირველად იგი ცნობილი გახდა ორმოციანი წლების ბოლოს, როდესაც ნეაპოლში სილამაზის კონკურსში მონაწილეობდა. სწორედ იქ შენიშნეს კინემატოგრაფისტებმა მისი სილამაზე, და 1949 წლიდან დაიწყეს მისი გადაღება ეპიზოდურ როლებში.

ჯერ კიდევ კინოკარიერის დასაწყისში მან, მიუხედავად თავის პირველ ფილმებში უმნიშვნელო წარმატებისა, გამოავლინა საყოველთაოდ აღიარებული შემოქმედებითი მონაცემები, შრომისუნარიანობა და სწავლისადმი აქტიური სწრაფვა.

მისი დიდი წარმატება იყო გამოჩენილ იტალიელ რეჟისორთან ვიტორიო დესიკასთან თანამშრომლობა. მისმა ფილმმა „ნეაპოლის ოქრო", რომელიც 1954 წელს გადაიღო, სოფი ლორენს ფართო აღიარება მოუტანა.

შემდგომში ვიტორიო დე სიკამ სოფი ლორენი მიიწვია ისეთ ფილმებში მონაწილეობისათვის, როგორიც არის „ჩოჩარა", „ალტონელი ტუსაღები", ხოლო ფილმებში „ქორწინება იტალიურად", „გუშინ, დღეს, ხვალ", და სხვა სოფი ლორენმა ბრწყინვალე დუეტი შექმნა მარჩელო მასტროიანთან ერთად. კინემატოგრაფში თავისი ცხოვრების ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში სოფი ლორენმა იტალიურ, ამერიკულ, ინგლისურ, ფრანგულ და სხვა ქვეყნების სამოცზე მეტ ფილმში მიიღო მონაწილეობა. მისი მონაწილეობით გადაღებულმა ფილმებმა ჯილდოები მოიპოვეს საერთაშორისო ფესტივალებზე კანში, სან-სებასტიანში და სხვაგან. მსახიობმა თავისი კვალი საბჭოთა კინემატოგრაფსაც დაამჩნია: ფილმმა „ქორწინება იტალიურად" 1965 წელს მოსკოვის ფესტივალზე პრიზი მიიღო, ხოლო 1969 წელს საბჭოთა კინემატოგრაფისტებთან ერთობლივად გადაიღეს ფილმი „მზესუმზირები".

50-60-იან წლებში მისი მონაწილეობით გადაღებულ ფილმებს კრიტიკოსები „უზრუნველ", „გასართობ" და „კომერციულ" ფილმებად მიიჩნევდნენ („ეკარო, სიყვარული და..." და სხვა). ამან ფართო მაყურებელში მაინც ვერ შეამცირა მისი პოპულარობა.

მაგრამ პრესის ყურადღება სოფი ლორენის კარიერისადმი მაინც დაძაბული იყო. თუმცა თავისი პირადი ცხოვრებით ეს კინოვარსკვლავი სულაც არ იძლეოდა დიდ საბაბს სენსაციისათვის. ოცდახუთ წელზე მეტია, რაც ის კინოპროდიუსერის კარლო პონტის ცოლია. სოფის, როგორც ამას თვითონვე ამბობს, დღესაც მხურვალედ უყვარს თავისი მეუღლე და შვილები—22 წლის ედუარდო 18 წლის კარლო.

წელს მარტში სოფი ლორენს ორი ჯილდო გადაეცა—ფრანგული და ამერიკული საპატიო ჯილდოები „ცეზარი" და „ოსკარი".

უკანასკნელი მონაცემებით, ამჟამად მსახიობი დაკავებულია გადაღებებით იტალიაში, ამავე დროს კინოს სამყაროს აზიარებს თავის ძმისშვილს ალექსანდრას.

გ. კონოვალოვი („არგუმენტი ი ფაქტი")

ვისაც გემრიელი ჭამა-სმა უყვარს

ბადრიჯანი შემწვარი ხახვით

გარეცხეთ ბადრიჯანი, მოაჭერით თავი და ბოლო, მოთუთქეთ, დაჭერით თხლად, დააყარეთ მარილი. ორივე მხარეს მოაყარეთ ფქვილი და შეწვით კარაქში ან მცენარეულ ზეთში. დაჭერით აგრეთვე თავიანი ხახვი მრგვლად და კარაქში შეწვით. მზა ბადრიჯანი დააწყვეთ ლანგარზე, შემწვარი ხახვის მონაცვლეობით. ტაფაზე, სადაც ის შეწვით, დადეთ არაჟანი, აურიეთ ტომატის პიურე, მცირე ხანს გააჩერეთ და ეს საწებელი ბადრიჯანს მოასხით.

ოთხი ბადრიჯანი—ორი თავი ხახვი, ოთხი სუფრის კოვზი ფქვილი, ერთი ჭიქა არაჟანი, ორი სუფრის კოვზი ტომატის პიურე, ოთხი სუფრის კოვზი კარაქი, მარილი გემოვნების მიხედვით.

ჰაეროვანი ვაშლის ღვეზელი [პეროგი]

ვაშლი შეწვით და გახეხეთ საცერში. მიღებულ პიურეს დაუმატეთ შაქარი, და ცოტა ხან ადუღეთ. სანამ გაცივდებოდეს, სწრაფი რევის პირობებში წვრილი ნაკადით ჩაასხით ათქვეფილ ცილაში და ამის შემდეგ ამობურცული ფორმით გადმოიღეთ ცხიმწასმულ ტაფაზე, პეროგის ზედაპირი მორთეთ იმავე მასით კონუსისებური პარკის მეშვეობით და გამოაცხვეთ ჰაეროღუმელში. ცხელ ღვეზელს, სანამ ტაფიდან გადმოიღებდეთ, მოაყარეთ შაქარი. ღვეზელი შეგიძლიათ მიირთვათ ადუღებული ცივი რძით ან ნაღებთან ერთად.

ყოველ 100 გრამ ვაშლზე: შაქარი—3 სუფრის კოვზი, კარაქი—1 ჩაის კოვზი, 6 კვერცხის ცილა, ფხვნილი შაქარი.

რჩევები „ევას" სკივრიდან

თუ გსურთ ჭურჭელს თევზის სუნი მოაცილოთ, იგი გარეცხეთ მარილიანი ცივი წყლით.

როდესაც ყავას ადუღებთ, წიგ მარილის ნამცეცი ჩააგდეთ—ყავას გემო გაუუმჯობესდება.

დაჭრილი ვაშლი რომ არ „დაგიჟანგდეთ", მარილიან წყალში შეინახეთ.

თუ ოთახში სალებავის სუნია—მარილიანი ლამბაქი დადგით. სუნი სწრაფად გაქრება.

კარტოფილის ნაფცქვენი დაჭერით წვრილ ნაჭრებად და ცხელი წყალი და ძმარი დაასხით, დაუმატეთ ცოტაოდენი მარილი—მინის ტარის გასარეცხი მშვენიერი ხსნარი დამზადდება.

ნუ გადაჭრით კარტოფილის ნახარშს, ის კარგად რეცხავს მინას, ფაიფურსა და პრიალა ჭურჭელს.

თუ საპურეში დაჭრილ ვაშლს გაფცქვნილი კარტოფილის ნაჭერს ან ცოტაოდენ მარილს დადებთ, პური გვიან გახმება.

ძვირფასო ქალებო! თქვენ გიყვართ, მაგრამ როგორ ვიხმაროთ სუნამო

სუნამო, ყოველთვის როდია მისი გამოყენება დროული. თუ ისინი საზეიმო განწყობილებას აიჩქებენ ადამიანს თეატრში, მეგობრებთან, სრულიადაც არ არის შესაფერისი მისი გამოყენება საქმიანი შეხვედრების დროს. სხვათაშორის, ზამთრობით სუნამოს სასიამოვნო არომატმა, განსაკუთრებით მკვეთრმა, შეიძლება ზაფხულობით გაგაღიზიანოს. მზიან, ცხელ ამინდში ის საერთოდ არ უნდა გამოიყენოთ. მხედველობაში იქონიეთ, რომ ახალგაზრდა ქალებს და ქალიშვილებს უფრო მეტად უხდებათ ყვავილების სუნი, ხოლო ხანში შესულებს—სანელებლების.

რეკომენდებული არ არის სუნამო წაიცხოთ კანზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში იცვლება მისი სუნი, განსაკუთრებით თუ კანი დაბანილი გაქვთ სურნელოვანი საპნით ან მკვეთრსუნიანი კრემი გისვიათ. უკეთესია თუ სუნამოს აპკურებთ შალის ქსოვილის პატარა ნაჭერზე, რომელიც კაბაზე შიგნიდან გექნებათ დაკერებული. დაიცავით სუნამო სითბოს, სინათლისა და ჰაერისაგან (ისინი ადვილად ორთქლდება). უფრო მოხერხებულია ტუჩის პომადის მსგავსად პენალში მოთავსებული მაგარი სუნამო. ის შეიძლება მსუბუქად წაისვათ კანზე ისეთ ადგილას, სადაც ტანსაცმელი არ ეხება, მაგალითად, ყურის ძირში.

არ დაგავიწყდეთ ყველანაირი სუნამო კარგია როცა მას ხმარობ სუფთა ტანსაცმელზე, სუფთა თმებზე. თუ მას ოფლიანობის დროს იხმართ: ამით მხოლოდ ხაზს გაუსვამთ თქვენს არააკურატურობას.

და, ბოლოს, უნდა გახსოვდეთ რომ ზოგჯერ სუნამომ შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია. ამიტომ, როცა სამსახურში ან სტუმრად წასასვლელად ემზადებით, ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თქვენს გვერდით იქნებიან ადამიანები, რომლებიც ძლიერმა მკვეთრმა სუნმა, შეიძლება დაალალოს, და მათში არასასიამოვნო შეგრძნება გამოიწვიოს.

დრომოჯეული მიდის, ახალი იბადება

ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა ყოველგვარი ერთულებისა და გაჭიანურების გარეშე მოაწერეს ხელი დოკუმენტს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ. ეს მოვლენა განპირობებული იყო ობიექტური ფაქტორებით, მკვეთრი ცვლილებებით ევროპაში. ვარშავის ხელშეკრულების წევრ-ქვეყნებში. შარშან ორგანიზაციას გამოაკლდა თავისი უმნიშვნელოვანესი რგოლი—გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. წელს, თებერვლის ბოლოს ალიანსის დანარჩენი წევრები შეთანხმდნენ გაეუქმებინათ მისი სამხედრო სტრუქტურა. ხოლო შეხვედრამდე სამი თვით ადრე სხვა აღმოსავლეთევროპულ დედაქალაქში—ბუდაპეშტში ყოველგვარი ხმაურის გარეშე გაუქმდა კიდევ ერთი დრომოჭმული ორგანიზაცია — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო.

გაუქმებულთა ნაცვლად რაიმე ახალი სტრუქტურის შექმნა ჯერ გათვალისწინებული არ არის. ცხადია, ჩვენც და ჩვენი მეზობლებიც უნდა ცდილიყვნენ შეენარჩუნებინათ ის დადებითი, რაც ათეული წლების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად დაგვგროვდა.

რაც შეეხება მრავალმხრივ თანამშრომლობას, ის, როგორც მე წარმომიდგენია, უპირატესად განვითარდება საერთოევროპულ ფარგლებში. მოსკოვში, პრაღაში და სხვა დედაქალაქებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჰელსინკში დაწყებულ პროცესებს, მთელი ევროპის მასშტაბით ნდობისა და უშიშროების განმტკიცებას. ამასთან ერთად თავისი აზრი არ დაუკარგავს ურთიერთმოქმედების რეგიონალურ სტრუქტურებსაც, მათ შორის ყოფილი „სოციალისტური თანამეგობრობის“ დონეზე. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს უკანასკნელი სესიის მონაწილეებმა ბუდაპეშტში აღიარეს, მათმა ქვეყნებმა უნდა მოახდინონ ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული წესიდან ჯანსაღი საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალ გზაზე თავიანთი სვლის კოორდინაცია.

ვ. შელეპინი.

შენთვის, მკითხველო!

სოციოჰეზატის ჯიხურებში იყიდება ახალი ქართული გამოცემები.

მათ შორის ქართველ მწერალთა მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „ლაშარი“. ჟურნალის მთავარი რედაქტორია თ. დოიაშვილი.

ნომერში დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის, გურამ დოჩანაშვილის, ბესიკ ხარანაულის, გოდერძი ჩოხელის, როსტომ ჩხეიძის და სხვათა მხატვრული ნაწარმოებები, მოგონებები აკაკის, ილიას, მიხეილ წერეთლის შესახებ, კრიტიკული წერილები; ცნობილი ფრანგი მწერლის, ისტორიკოსისა და ფილოლოგის ერნესტ რენანის ლექცია „რა არის ერის?“.

ჟურნალი გამოსცა გამომცემლობა „ლაშარმა“.

გამოსულია აგრეთვე საქართველოს ეროვნული გვარდიის სამხედრო ისტორიული ჟურნალ „მხედარის“ 1-ლი, მე-2 ნომრები.

ჟურნალის მთავარი რედაქტორია მამუკა წურწუმია.

კრებულებში დაბეჭდილია წერილები საქართველოს ისტორიული სამხედრო ხელოვნების, სხვადასხვა ეპოქის ქართული სამხედრო წყობის შესახებ, მოგონებები. აქ ნახავთ ლევან სანიკიძის, იოსებ გედევანიშვილის, გიორგი ლეონიძის, ვლასა მგელაძის, მ. ბარიატინსკის, სარგის კაკაბაძის, კონსტანტინე ჩოლოყაშვილის სტატიებს.

ჟურნალი გამოსცა გამომცემლობა „სამშობლომ“.

იუმორისტული ჟანრების მოყვარულთ უთუოდ დაინტერესებთ კიდევ ერთი ახალი ჟურნალი, რომელსაც რევაზ მიშველაძე რედაქტორობს. „ღიმილი“ საქართველოს სატირიკოს-იუმორისტთა ასოციაციის ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალია. აქ წაიკითხავთ მ. ფოცხიშვილის, რ. მიშველაძის, ზ. ბოლქვაძის, შ. ნიშნიანიძის, მ. ქვლივიძის, გ. პეტრიაშვილის, დ. მრეველიშვილის, ე. კვიტაიშვილის, გ. მახვილაძის, ნ. შამანაძის, გ. ჭელიძის, თ. გუნიას და სხვათა იუმორისტულ-სატირულ ნაწარმოებებს, ახალ საინტერესო თარგმანებს, თამაზ წივწივაძის და კიტა ბუაჩიძის პუბლიცისტურ წერილებს, ეპიგრამებს, ნახავთ ხალხური იუმორის მარგალიტებს.

ყურადღება!

სამკურნალო კოოპერატივ-კურორტ „ლაძგვერიაში“ ამ წლის პირველ ნახევარში ექსკურსიებამდე იმუშავებს მაღალკვალიფიციური ექსტრასენსი, რომელიც ეფექტურად მკურნალობს თავის ტკივილებს, მაღალ წნევას, რადიკულიტს, მხედველობის და სმენის დაქვეითებას, დიაბეტს საწყის სტადიაზე, რევმატიზმს და ნევროზს.

სეანსის ღირებულება კურორტზე გაფორმებული დამსვენებლისთვის 8 მანეთია, სპეციალურად ექსტრასენსთან მოხულთათვის კი—15 მანეთი.

ექსტრასენსთან არ დაიშვებიან:

ფსიქიურად დაავადებულნი, სიმსივნის მქონენი, ფეხმძიმენი ნებისმიერ სტადიაში, კანის ვადამდები და ვენერიული დაავადების, ორგანულად ჩამოყალიბებული დეფორმაციის მქონენი (კენჭები, ჩიყვი, გულის მანკი).

კოოპერატივ „ლაძგვერიის“

თავმჯდომარე რ. მანდარია.

ბოლოცავთ

იზა ლეთოდიანს
ტარიელ ლიპარტელიანს

გილოცავთ ბედნიერებას, სიყვარულით გაბრწყინებული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრება, გფარავდეთ ღმერთი.

რამაზ საღინაძე, რეზო ლეთოდიანი.

ლალი ჩიქოვანს
კარლო კოპალიანს

გილოცავთ ბედნიერებას. დაგბედებოდეთ შვილთა სიმრავლე. გფარავდეთ ღმერთი.

მარინე სვანიძე, ლალი ხვადაგიანი, ელისო, ელეონორა კვირკაშვილები.

ლონდა ლეთოდიანს
ავთო მურცხვალაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული, სიყვარული, სიკეთე დაგბედებოდეთ. გფარავდეთ მაღალი ღმერთი.

ნარგიზა, ბადრი გოლეთიანები, ლეილა კვენტაძე, მურთაზ ყურაშვილი.

ლალი ჩიქოვანს
კარლო კოპალიანს

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ შვილთა სიმრავლეს. შეგექმნათ ფუძეძლიერი ოჯახი.

ლია ლიპარტელიანი, მანანა, ზურაბ ბენდელიანები, ვახტანგ, ტარზან კოპალიანები, დათო, ვახტანგ საღინაძეები, როსტომ შკუბულიანი, ლია მუშკუდიანი.

ნაზიკო, რეზო კოპალიანებს

გილოცავთ მირიანის ბედნიერებას, გისურვებთ გამრავლებას და ყოველივე კარგს.

ლია კოპალიანი, ლამარა, ნანი ბერიძეები, ნორა მეშველიანი, ნაილი ჩაკვეტაძე, იზო მურცხვალაძე, გივი ქომეთიანი, დალოსტი სვანიძე, ჯემალ მეშველიანი.

ბოლოცავთ

დარეჯან ლეთოდიანს, ზაურ გუგავას

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო მამულიშვილი.

რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები.

ლია, ანეტა, ლელა, ლევან ჩიქოვანებს

გილოცავთ ლალის ბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ. ღმერთი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი.

მაყვალა, სარდიონ ფუტკარაძეები.

კახაბერ ბადრის ძე თუთისანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე ერის სასახელო ვაჟკაცი.

ბორის კოპალიანი ოჯახით.

თამთა ავთოს ასულ შკუბულიანს

თამთა, გილოცავ დაბადების დღეს. ბედნიერი იყოს შენი ცხოვრების გზა.

კახაბერ თუთისანი.

ნანული საღინაძეს

დაბადების დღეს გილოცავთ, კვლავ დედაბურჯად, ინედად, ნუგეშად, სიყვარულად ყოფილიყოთ დიდხანს შვილებისათვის, შვილიშვილებისთვის.

ნიკა, ლევანი.

ციცინო, დიტო ჩაფრავებს
თინა, ვაჟა ჩაფრავებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო მამულიშვილი.

გივი, ალიოშა, ზაურ ჩაფრავები, ბიკენტი მურცხვალაძე, რეზო სივსივა, ჭუჭულა გურგუჩიანი.

მერი ასათიანს
ოთარ ჭაბუკიანს

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას. ულევი სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს მისი ცხოვრების მეგზური.

ორბელის საკრებულოს თანამშრომლები.

გიგა, ლავროსი, ბორის, ნორა, ზურაბ, გელა ჭაბუკიანები ოჯახებით იუწყებიან

ვლადიმერ ესტატეს ძე ჭაბუკიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ალპანის სამკერვალო ფაბრიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ამავე ფაბრიკის თანამშრომელს ბროლა ხეცურიანს ძმის

რუბენ ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

ძმები გუჯა, დავით, ბადრი, დები მაყო, ქეთო, ლოლა ჩაკვეტაძეები, რძლები ბაბუცა, ანიკო, დოდო ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეუეუნა აფრასიონის ასული ჩაკვეტაძე.

დაკრძალვა 28 ივლისს, კვირას, სოფ. ზუბში.

გრიგოლ ბენდელიანი, რაფიელ, ვილგემ კოპალიანები, ოთარ, დავით, ჯუმბერ საღინაძეები თანაუგრძნობენ გუჯა ჩაკვეტაძეს დის

ეუეუნა ჩაკვეტაძის

გარდაცვალების გამო.

ლეილა, როლანდ, მანუჩარ ხეცურიანები, ბორის ფანჯარაძე თანაუგრძნობენ ლალი, ნაილი და მარინე ჭაბუკიანებს მამის

ლადო ჭაბუკიანის

გარდაცვალების გამო.

კავშირგაბმულობის ზუბის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ დავით ჩაკვეტაძეს დის

ეუეუნა ჩაკვეტაძის

გარდაცვალების გამო.

„ლეჩხუმი“ გამოდის
• სამშაბათს
• ხუთშაბათს
• შაბათს

ჩვენი მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31
რედაქტორის მოადგილის—22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების —22-41, ხტამბის დირექტორის—22-17, საამწყობო საამქროს —22-23

შეკვეთა № 80 ტირაჟი—4546

რედაქტორი ნ. ნიმსაძე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.